# საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახლგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ც ე ნ ტ რ ი

## ახალგაზრდული მოძრაობა

# "დ ა ვ ი თ ი ა ნ ნ ი"

# პ რ ო ე ქ ტ ი

# “საქართველოს ახალგაზრდობა ჯანსაღი მომავლისათვის”

2007-2008



პერიოდი 04. 2008

ბუნების დაცვა-დასუფთავება



ამ პერიოდში ჩატარდა დასუფთავებით ღონისძიებები თბილისის შემოგარეში კერძოდ კი მცხეთაში ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაც მონაწილეობა მიიღო 138, 189. და 51 სკოლის კლუბის 50-მდე წევრმა. აღსანიშნავია რომ დასუფთავების დროს მოზარდებმა შეაგროვა 100 მდე ტომარა სხვადასხვა ნარჩენი. დასუფთავებითი ღონისძიების შემდეგ მონასტრის ტერიტორიაზე მოეწყო შემეცნებითი შეხვედრა მოზარდებსა და სასულიერო პირებს შორის, რომლის დროსაც კლუბის წევრებმა მიიღეს სასარგებლო რჩევა-დარიგებები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.







# საქველმოქმედო ღონისძიებები
## პერიოდი 09.04.08 – 22.04.08

ამ პერიოდში ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიებები მზრუნველობას მოკლებილ ბავშვთა სახლებში. რომლის ფარგლებში მოესწავლე-ახალგაზრდობამ შეაგროვა სხვადასხვა სახის 1 ტონამდე: სურსათი, ტანსაცმელი, წიგნები, სათამაშოები და სხვა. პროდუქტის შეგროვებაში მონაწილეობა მიიღო პროექტში მონაწილე სკოლების 1400 მდე მოზარდმა, ხოლო უშუალოდ საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარებაში 100-მდე მოზარდმა. აღსანიშნავია რომ მოზარდებმა დაამყარეს მეგობრული კავშირები მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან, გამართეს მხატვრული დადგმები და სპორტული შეჯიბრებები რაც ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მათ შორის ჰუმანური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებად.





# 3. სპორტული ტურნირი (ფინალი)

ამ პერიოდში ჩატარდა სპორტული ტურნირის ფინალი რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 საშ. სკოლისა და 138 საშ. სკოლის კლუბის გუნდებმა. ტურნირი მიმდინარეობდა 2 თვის განმავლობაში და მასში მონაწილეობა მიიღო 250-მა სკოლის მოსწავლემ, რომელთა შორის შატარდა 77 მატჩი და გამოვლინდა ფინალში მონაწილე საუკეთესო გუნდები. სპორტული ტურნირის დროს დაწესებული გარდამავალი თასი გადაეცა ფინალში გამარჯვებულ 138 სკოლის გუნდს, თასთან ერთად ტურნირში მონაწილეებმა მიიღეს მედლები და სიგელები. აღსანიშნავია რომ iocc-ისთან ერთად ტურნირის ორგანიზებაში მონაწილეობდა კულტურისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი








## შემეცნებით-გასართობი ექსკურსიები
## 05.2008 - 06. 2008

ამ პერიოდში მოეწყო შემეცნებით-გასართობი ექსკურსიები: უფლისციხეში, ბოდბეში, სიღნაღში კოჯორში, მცხეთაში, ბეთანიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 51, 138, 189, 1, სკოლის 200-მდე მოსწავლემ. ქსკურსიების დროს მოზარდებმა მიიღეს ინფორმაცია ამა თუ იმ კულტურული ძეგლების შესახებ და უფრო ახლოს გაეცნენ მათ ისტორიულ მნიშვნელობას.







# გამწვანების პროგრამა

## 05.2008-06.2008

ამ პერიოდში მიმდინარეობდა 189 სკოლის ტერიტორიაზე არსებული სკვერის განახლება რომელსაც მენიჭა “პატრიარქის ბაღის” სახელი, ბაღის განახლებაზე მუშაობა მიმდინარეობდა ორი თვის განმავლობაში და მასში მონაწილეობა მიიღო სკოლის 500 მდე მოსწავლეემ რომელთაც დარგეს დაასუფთავეს და განაახლეს ბაღის იერ სახე. იმდინარე სამუშაოების დროს დაირგო 150 მდე ნახევარ ბუჩქოვანი მცენარე და 300 -დე ყვავილი. ბაღი საზეიმოდ გახსნა საპატრარქოს ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელმა მეუფე სტეფანემ













# საკლუბო ბიბლიოთეკა

06.2008

ამ პერიოდში პროექტში მონაწილე 7 სკოლას გადაეცა 3000 ზე მეტი სხვადასხვა სახის უცხოური სასკოლო წიგნები, საიდანაც ნაწილი კლუბის წევრებმა მიიღეს საჩუქრად  ხოლო უმრავლესობა გადაეცა სკოლის ბიბლიოთეკას







# სტუდენტური სემინარი ნარკომანიაზე

25. ივნისს  თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა სემინარი შიდსა და ნარკომანიაზე, რომელსაც ესწრბოდა თბილისის 10-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტურ თვითმართველობის 200-მდე წარმომადგენელი. სემინარში მონაწილეობა მიიღეს ნარკოლოგიის ინსტიტუტის, საპატრიარქოს ანტინარკოტიკული ცენტრის წარმომადგენლებმა და სასულიერო პირებმა.  ასევე სემინარის დროს  მოეწყო ანტინარკოტიკული კლიპისა და ფილმის პრეზენტაცია.







| სკოლა | მისამართი | დირექტორი | მოსწავლეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| № 1 სკოლა | რუსთაველის №10 | ლელა წიქარიშვილი | 1596 |
| № 189 სკოლა | საირმის ქ №84 | ზაზა გრიგალაშვილი | 1768 |
| № 138 სკოლა | თემქის დასახლება №10 | მედია გურგენიძე | 599 |
| № 51 სკოლა | მელიქიშვილის №2 | დათო ლაგვილავა | 1857 |
| № 87 სკოლა | ქ. წამებულის №90 | დათო ჭეიშვილი | 1120 |
| № 81 სკოლა | ჭკალოვის №3 | მაგდა სიჭინავა | 1018 |
| № 15 სკოლა | გუდამაყრის №3 | ქეთი აბესაძე | 1400 |